ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 264

“9” ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე---46-21692 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ.“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-46-21692 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის №23.752.832 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.163) გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე---46-21692 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობა - „სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა“, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში შპს „ფილიგრინი“ (ს/ნ. 405498929) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 863 928 (რვაას სამოცდასამი ათას ცხრაას ოცდარვა) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე